

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება N MOD 3 18 00000055
2018 წლის 01 თებერვალი ქ.თბილისი
ოფიცერთა საკარიერო პროგრამებზე მიღების დამატებითი
მოთხოვნების და
პირობების დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და „ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 13 დეკემბრის NMOD 5 17 00000986 ბრძანების საფუძველზე,

ბრძანება N MOD 3 19 00000180 14.03.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2019 წლის 12 მარტიდან;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. დამტკიცდეს თანდართული „ოფიცერთა საკარიერო პროგრამებზე მიღების დამატებითი მოთხოვნები და პირობები“.
 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
- მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ბუთხუზი

**ოფიცერთა საკარიერო პროგრამებზე მიღების დამატებითი
მოთხოვნები და პირობები**

მუხლი 1. უმცროს ოფიცერთა საკანდიდატო მომზადების პროგრამაზე მიღების დამატებითი მოთხოვნები და პირობები

1. დამატებითი მოთხოვნები:

- ა) სამხედრო მოსამსახურეები 30 წლის ჩათვლით;
- ბ) რეზერვში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები 30 წლის ჩათვლით;
- გ) წვევამდელეები 26 წლის ჩათვლით;
- დ) სამედიცინო განათლებისა და შესაბამისი სერთიფიცირების მქონე კანდიდატები 35 წლის ჩათვლით.

2. დამატებითი პირობები:

- ა) სამედიცინო და ფსიქოლოგიური შემოწმების დადებითი შედეგი;
- ბ) ფიზიკურ მომზადებაში ტესტირების შედეგი;
- გ) ზოგადი უნარების ტესტირების შედეგი;
- დ) გასაუბრების შედეგი.

შენიშვნა: პროგრამაზე მისაღებად კანდიდატთა შერჩევის პროცესში გათვალისწინებულ იქნას ინგლისური ენის მცოდნე პირადი შემადგენლობის პრიორიტეტულობა.

მუხლი 2. რეზერვის უმცროს ოფიცერთა (ლეიტენანტი) მომზადების პროგრამაზე მიღების დამატებითი მოთხოვნები და პირობები

1. დამატებითი მოთხოვნები არ დგინდება.

2. დამატებითი პირობები:

- ა) სამედიცინო და ფსიქოლოგიური შემოწმების დადებითი შედეგი;
- ბ) ფიზიკურ მომზადებაში ტესტირების შედეგი;
- გ) გასაუბრების შედეგი.

მუხლი 3. უმცროს ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლება (ტაქტიკური დონე) - უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითად პროგრამაზე (I საფეხური) მიღების დამატებითი მოთხოვნები და პირობები

1. დამატებითი მოთხოვნები.

1.1 საქართველოში არსებულ პროგრამებზე დამატებითი მოთხოვნები არ დგინდება.

1.2 საზღვარგარეთ არსებულ პროგრამებზე:

- ა) წოდებრივი შემადგენლობა:
 - ა.ა) ლეიტენანტი;

ა.ბ) უფროსი ლეიტენანტის წოდებით მაქსიმუმ ორწლიანი ვადით სამხედრო სამსახურის ნამსახურება;

ბ) სამოქალაქო განათლება - უმაღლესი;

2. დამატებითი პირობები.

2.1 საქართველოში არსებულ პროგრამებზე დამატებითი პირობები არ დგინდება.

შენიშვნა: უფროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდების მქონე ოფიცრებმა, რომლებიც მსახურობენ საქართველოს თავდაცვის ძალებში და არა აქვთ მიღებული სამხედრო განათლება, 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში, შესაძლებელია გაიარონ უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი პროგრამა (I საფეხური).

ბრძანება: N MOD 0 20 00000752 13.10.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

2.2 საზღვარგარეთ არსებულ პროგრამებზე:

ა) შერჩევა განხორციელდება შესაბამისი დონის შერჩევის საბჭოს მიერ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, საჯარისო ცენტრში ოფიცრის ძირითად პროგრამაზე და სამხედრო ნაწილში სამსახურისას მეთაურის მიერ გაკეთებული შეფასების ქულების გათვალისწინებით;

ბ) შერჩევისას პირველ რიგში გათვალისწინებული იქნებიან ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე ნამსახურები აქვთ მინიმუმ 1 წელი და მეტი.

შენიშვნა: საზღვარგარეთ უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითად პროგრამაზე (I საფეხური) წარსაგზავნად სხვა დამატებითი პირობები და მოთხოვნები განისაზღვრება:

ა) პროგრამის/კურსის მოთხოვნებიდან გამომდინარე;

ბ) საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის შესაბამისი ბრძანებით (საუკეთესო კანდიდატის შერჩევის მიზნით).

ბრძანება: N MOD 0 20 00000752 13.10.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

მუხლი 4. უმცროს ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლება (ტაქტიკური დონე) - კაპიტნის საკარიერო მომზადების პროგრამაზე (II საფეხური) მიღების დამატებითი მოთხოვნები და პირობები

1. დამატებითი მოთხოვნები.

1.1 საქართველოში არსებულ პროგრამებზე - უმაღლესი სამოქალაქო განათლება.

შენიშვნა: 2018-2020 წლებში მიიღებიან სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის კურსდამთავრებულები, რომლებსაც არ გააჩნიათ უმაღლესი განათლება;

1.2 საზღვარგარეთ არსებულ პროგრამებზე - უმაღლესი სამოქალაქო განათლება.

2. დამატებითი პირობები.

2.1 საქართველოში არსებულ პროგრამებზე შერჩევა განხორციელდება კაპიტნის საკარიერო სკოლის კაპიტნის საკარიერო კურსებზე მისაღები გამოცდებით.

შენიშვნა: კაპიტნისა და მაიორის სამხედრო წოდების მქონე ოფიცრებმა, რომლებიც მსახურობენ საქართველოს თავდაცვის ძალებში და არა აქვთ მიღებული სამხედრო განათლება, 2018-2022 სასწავლო წლის განმავლობაში, შესაძლებელია კონკურსის სახით მიიღონ მონაწილეობა კაპიტნის საკარიერო მომზადების პროგრამის (II საფეხური) გამოცდაში.

ბრძანება: N MOD 0 20 00000752 13.10.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

2.2 საზღვარგარეთ არსებულ პროგრამებზე შერჩევა განხორციელდება 2 საფეხურად:

- ა.ა) I - კაპიტნის საკარიერო სკოლის კაპიტნის საკარიერო კურსებზე მისაღებ გამოცდებზე დადგენილი მინიმალური ბარიერის გადალახვა;
- ა.ბ) II - შერჩევის საბჭოს მიერ საუკეთესო კანდიდატების შერჩევა.

შენიშვნა: საზღვარგარეთ კაპიტნის საკარიერო მომზადების პროგრამაზე (II საფეხური) წარსაგზავნად სხვა დამატებითი პირობები და მოთხოვნები განისაზღვრება:

- ა) პროგრამის/კურსის მოთხოვნებიდან გამომდინარე;
- ბ) საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის შესაბამისი ბრძანებით (საუკეთესო კანდიდატის შერჩევის მიზნით).

ბრძანება: N MOD 0 20 00000752 13.10.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

მუხლი 5. სამეთაურო-საშტაბო პროგრამაზე მიღების დამატებითი მოთხოვნები და პირობები

1. დამატებითი მოთხოვნები.

1.1 საქართველოში არსებულ პროგრამებზე:

- ა) უმაღლესი სამოქალაქო განათლება;
- ბ) არ გააჩნიათ ოფიცერთა შუალედური ან ოფიცერთა უმაღლესი სამხედრო განათლება;
- გ) სამხედრო სამსახურის ზღვრული ასაკის შესრულებამდე დარჩენილი აქვთ 3 (სამი) წელი და მეტი (კურსზე ჩარიცხვის თარიღიდან);
- დ) წინა საკარიერო კურსის დასრულებიდან გასულია 2 (ორი) და მეტი წელი.

ბრძანება NMOD 7 20 00000470 09.07.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

1.2 საზღვარგარეთ არსებულ პროგრამებზე - უმაღლესი სამოქალაქო განათლება.

2. დამატებითი პირობები.

2.1 საქართველოში არსებულ პროგრამებზე შერჩევა განხორციელდება 2 საფეხურად:

- ა) I საფეხური - შერჩევის საბჭოს მიერ საუკეთესო კანდიდატების შერჩევა (გვარეობების კვოტების შესაბამისად);
- ბ) II საფეხური - სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის სამეთაურო-საშტაბო კურსზე მისაღებ გამოცდაზე დადგენილი მინიმალური ბარიერის გადალახვა.

შენიშვნა: სამხედრო მოსამსახურეებს მაიორის სამხედრო წოდებით, რომლებსაც არ გააჩნიათ უმაღლესი განათლება და გავლილი აქვთ უმცროს ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლების II საფეხური - კაპიტნის საკარიერო მომზადების პროგრამა, მიეცეთ უფლება 2019-2021 წლებში მონაწილეობა მიიღონ მისაღებ გამოცდებში და კონკურსის სახით ჩარიცხულ იქნან სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო საშტაბო კოლეჯში.

ბრძანება N MOD 7 20 00000470 09.07.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
ბრძანება N MOD 3 19 00000180 14.03.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2019 წლის 12 მარტიდან;
ბრძანება N MOD 9 21 00000264 13.04.2021 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

2.2 საზღვარგარეთ არსებულ პროგრამებზე შერჩევა განხორციელდება 2 საფეხურად:

- ა) I საფეხური - სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის სამეთაურო-საშტაბო კურსზე მისაღებ გამოცდაზე დადგენილი მინიმალური ბარიერის გადალახვა;
- ბ) II საფეხური - შერჩევის საბჭოს მიერ საუკეთესო კანდიდატების შერჩევა (წოდებრივი და გვარეობების კვოტების შესაბამისად).

შენიშვნა: საზღვარგარეთ სამეთაურო-საშტაბო პროგრამაზე წარსაგზავნად სხვა დამატებითი პირობები და მოთხოვნები განისაზღვრება:

- ა) პროგრამის/კურსის მოთხოვნებიდან გამომდინარე;
- ბ) საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის შესაბამისი ბრძანებით (საუკეთესო კანდიდატის შერჩევის მიზნით).

ბრძანება: N MOD 0 20 00000752 13.10.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

მუხლი 6. თავდაცვის უმაღლეს პროგრამაზე მიღების დამატებითი მოთხოვნები და პირობები

1. დამატებითი მოთხოვნები (მხოლოდ საზღვარგარეთ არსებულ პროგრამებზე):

ა) წოდებრივი შემადგენლობა:

- ა.ა) ვიცე-პოლკოვნიკი, რომელსაც ვიცე-პოლკოვნიკის წოდებაში ნამსახურები აქვს 3 წელი ან მეტი;
- ა.ბ) პოლკოვნიკი;
- ა.გ) ბრიგადის გენერალი;

ბ) სამხედრო მოსამსახურის ზღვრული ასაკი:

- ბ.ა) ვიცე-პოლკოვნიკები, რომელთაც ზღვრულ ასაკამდე დარჩენილი აქვთ 3 წელი;
- ბ.ბ) პოლკოვნიკები, რომელთაც ზღვრულ ასაკამდე დარჩენილი აქვთ 5 წელი;

გ) ნამსახურება:

გ.ა) სამხედრო კარიერის განმავლობაში საბრძოლო ქვედანაყოფში, საბრძოლო მხარდეჭერისა და უზრუნველყოფის ქვედანაყოფში, ოცეულის, ასეულის, ბატალიონის/დივიზიონის/ესკადრილის ან ბრიგადის შემადგენლობაში მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;

გ.ბ) ბოლო 7 წლის განმავლობაში, მინიმუმ 1 წლის მანძილზე იკავებდა ან იკავებს:

- გ.ბ.ა) ვიცე-პოლკოვნიკის საშტატო კატეგორიის სამეთაურო თანამდებობას; ან
- გ.ბ.ბ) პოლკოვნიკის საშტატო კატეგორიის სამეთაურო, საშტაბო-ხელმძღვანელ ან/და სასწავლო სფეროს ქვედანაყოფის სამეთაურო (ხელმძღვანელის) თანამდებობას.

ბრძანება N MOD 3 18 00000668 15.08.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

დ) სამოქალაქო განათლება - უმაღლესი;

2. დამატებითი პირობები (მხოლოდ საზღვარგარეთ არსებულ პროგრამებზე) - შერჩევა განხორციელდება შესაბამისი დონის შერჩევის საბჭოს მიერ.

შენიშვნა: საზღვარგარეთ თავდაცვის უმაღლეს პროგრამაზე წარსაგზავნად სხვა დამატებითი პირობები და მოთხოვნები განისაზღვრება:

ა) პროგრამის/კურსის მოთხოვნებიდან გამომდინარე;

ბ) საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის შესაბამისი ბრძანებით (საუკეთესო კანდიდატის შერჩევის მიზნით).

ბრძანება: N MOD 0 20 00000752 13.10.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;